

# სამედიცინო პერსონალის თვითშეფასება საქართველოში

ანი ბასილია  
გიორგი ხელაძე  
ნანა მურცხვალაძე  
ჯგუფი N:5

*სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ბიზნეს სკოლაში*

პროექტის ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პროფესორი, მედიცინის აკადემიური დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, (2017)

## სარჩევი

სარჩევი.....	I
პრობლემა და კონტექსტი.....	1
ლიტერატურის მიმოხილვა.....	4
პროექტის მიზანი და ამოცანები (კითხვა/კითხვები ან/და (ჰიპოთეზა)).....	11
მეთოდოლოგია.....	12
მონაცემების ანალიზი.....	14
ძირითადი მიგნებები/შედეგები.....	14
დისკუსია/დასკვნა.....	29
რეკომენდაცია და ინტერვენცია.....	32
დანართ(ებ)ი.....	33
ბიბლიოგრაფია.....	43

## აბსტრაქტი

**შესავალი:** თვითშეფასების პრობლემა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანზე, მის შრომისუნარიანობაზე, ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე, ეს კი თავისთავად დიდ სირთულეებს ქმნის სამუშაო გარემოში და დიდ თავსატეხს წარმოადგენს მენეჯერებისთვის. მიღებული ინფორმაცია კი შესაძლებელს გახდის მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდეს მართვის კუთხით. მსგავსი ტიპის ცოდნა ძალზედ პრაქტიკულია და დაეხმარება მმართველ რგოლს შესაბამისი სტრატეგიისა და მექანიზმების შემუშავებაში, სამედიცინო პერსონალის ეფექტიანობის გაზრდისა და სამუშაო გარემოს გასაუმჯობესებლად. **მეთოდოლოგია:** კვლევა განხორციელდა მორის როზენბერგის თვითშეფასების სკალის (RSES) კითხვარითა და დამუშავდა სპეციალური ალგორითმის მიხედვით. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა თბილისის ერთ-ერთი კლინიკის სამედიცინო პერსონალი. **შედეგები, დისკუსია:** კვლევის მიხედვით, კლინიკაში ჯანსაღი სამუშაო გარემოა. ექიმებს და ექთნებს შორის დადებითი სამუშაო ურთიერთობებია. თუმცა, შედარებით დაბალი თვითშეფასების მქონე ექიმები, გამოირჩეოდნენ დაბნეულობით, ხშირად იყო რიგები მათ სამუშაო კაბინეტთან. მაღალი თვითშეფასების მქონე პერსონალი შენიშვნაზე და საყვედურზე ძირითადად უარყოფიდად მოქმედებს, ნებისმიერი მითითება მათთვის შეურაცმყოფელია და კონფლიქტს იწვევს. **რეკომენდაციები:** მიზანშეწონილია სამედიცინო პერსონალთან (პრობლემურ კადრებთან) მეტი კომუნიკაცია, სასარგებლო იქნებოდა თუ მენეჯერს ექნებოდა საკმარისი ფსიქოლოგიური ცოდნა და უნარები, რადგან ამის საჭიროება ნამდვილად შეინიშნება. კადრების აყვანის მხრივ (ექთნის მაგალითი), მეტი დაკვირვება, რადგან მსგავსი კადრი საფრთხის შემცველი შეიძლება აღმოჩნდეს პაციენტის ჯანმრთელობასთან მიმართებით. საჭიროა პაციენტების რიგების ელექტრონული სისტემის მოწესრიგება.